სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლით გათვალისწინებული 2025 წლის ანგარიში	
მონაცემები საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ (მუხლი 49 (ა))	
საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნათა საერთო რაოდენობა	11
დაკმაყოფილებულ მოთხოვნათა რაოდენობა	8
მოთხოვნაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებათა რაოდენობა	0
განხილვის ეტაპზე არსებულ მოთხოვნათა რაოდენობა	3
მონაცემები საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის მოთხოვნათა შესახებ (მუხლი 49 (ა))	
საჯარო ინფორმაციაში შესწორების მოთხოვნათა საერთო რაოდენობა	0
დაკმაყოფილებულ მოთხოვნათა რაოდენობა	0
მოთხოვნაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებათა რაოდენობა	0
განხილვის ეტაპზე არსებულ მოთხოვნათა რაოდენობა	0
მონაცემები საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის დაკმაყოფილების ან მოთხოვნაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების მიმღები საჯარო მოსამსახურის ვინაობის შესახებ (საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი) (მუხლი 49 (ბ))	
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 36-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირია სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს დირექტორის მოადგილე, ხათუნა ცერცვაძე.	
ინფორმაცია საჯარო მონაცემთა ბაზებისა და პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და სხვისთვის გადაცემის შესახებ (მუხლი 49 (გ))	
სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად, როგორც სააგენტოს ადმინისტრირების პროცესში, ასევე დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ამუშავებს პირის პერსონალურ მონაცემებს. პერსონალური მონაცემების დამუშავება და გაცემა ხდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსითა და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ შემთხვევებში და კანონით გათვალისწინებული საფუძვლებით. პერსონალურ მონაცემებზე წვდომა აქვთ მხოლოდ იმ თანამდებობის პირებს, რომლებსაც, მათი სამსახურებრივი საქმიანობიდან გამომდინარე, მინიჭებული აქვთ ამგვარი მონაცემების დამუშავებისა და შეგროვების უფლებამოსილება. პერსონალური მონაცემების უსაფრთხოება უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფორმაციულ-ტექნოლოგიური საშუალებებით, რაც, თავის მხრივ, გამორიცხავს პერსონალურ მონაცემებზე არაუფლებამოსილ პირთა წვდომას.	
მონაცემები საჯარო მოსამსახურეთა მიერ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 თავის მოთხოვნების დარღვევის რაოდენობისა და პასუხისმგებელი პირებისთვის დისციპლინური სახდელების დადების შესახებ (მუხლი 49 (დ))	

დაკისრებული დისციპლინური სახდელების საერთო რაოდენობა	ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნების დარღვევის და პასუხისმგებელ პირზე დისციპლინური სახდელის დადების შემთხვევა სსიპ დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოში 2025 წლის განმავლობაში არ დაფიქსირებულა.
საკანონმდებლო აქტები, რომლებსაც საჯარო დაწესებულება ეყრდნობოდა საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმისას (მუხლი 49(ე))	
საანგარიშო პერიოდში, სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს მხრიდან საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შემთხვევა არ დაფიქსირებულა.	
მონაცემები საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების შესახებ (მუხლი 49 (ვ))	
საანგარიშო პერიოდში, სასარჩელო განცხადება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არ ყოფილა.	
მონაცემები საჯარო ინფორმაციის დამუშავებასა და გაცემასთან, აგრეთვე საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან დაკავშირებული ხარჯების შესახებ, მათ შორის, მხარის სასარგებლოდ გადახდილი თანხების შესახებ (მუხლი 49 (ზ))	
სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოში საანგარიშო პერიოდში საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან დაკავშირებით არ წარმოშობილა ხარჯები და ადგილი არ ჰქონია სააგენტოსათვის მხარის სასარგებლოდ გადასახდელი თანხის დაკისრებას.	